# გურიის ერობის მოამბე

№ 15 ფასი 3 მანეთი

ერობის ყოველკვირეული გაზეთი

კვირა 18 აპრილი 1920 წელი ქ. ოზურგეთი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## 18 აპრილი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთად-ერთი ოაზისია ძველი, თვალუწვდენელი რუსეთის სივრცეზე, სადაც დემოკრატია სარგებლობს თავისუფლებით და რევოლუციის მონაპოვარით. დამარცხდა რევოლუცია იქ, სადაც ის იშვა, და ის, რის გაკეთებაც ვერ შესძლო ან ვერ მოასწრო იქ, რუსეთში რუსეთის რევოლუციამ, შესძლო აქ, ჩვენში, საქართველოს დემოკრატიამ. ის უდიდესი გამარჯვება, რომელიც საქართველოს დემოკრატიამ მოიპოვა რევოლუციის პროცესში, მიწერება ერთის მხრით იმ სწორ პოლიტიკურ ხაზს, რომელიც ჩვენმა ხალხმა აირჩია, და მეორეს მხრით — ჩვენი დემოკრატიის თავგანწირულ ბრძოლას.

მრავალი, მრავალი მებრძოლები შეეწირა ჩვენში თავისუფლების შენარჩუნებას და დემოკრატიული წყობილების განმტკიცებას. ჩვენი ქვეყნის მთები და ველები მორწყულია სისხლით და მოკენჭულია ძვლებით ჩვენი მებრძოლებისა. ბევრს მათგანს ღირსა დაკრძალვა მშობლიური კერის მახლობლად შესაფერი პატივისცემით, მახლობელთა და ნათესავთა ცრემლით მორწყო მათი საფლავები, მაგრამ ბევრს ვერც კი ეს უკანასკნელი ნუგეში ხვდა წილად და აი ამ ბევრთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს იმ გმირებს, რომლების საფლავები ობლად გამოიყურება სოფ. ვაშნარში. ორი წელი შესრულდება ამ კვირაში, 23 აპრილს (ძველი სტილით 10 აპრილი) მას შემდეგ, რაც რომ ლომებივით ეკვეთნენ ჩვენს მოსისხლე მტრებს ვაშნარის გმირები, რომლებმაც სისხლით დაუმტკიცეს რევოლუციას, სამშობლოს და თავისუფლებას თავისი ერთგულება და სიყვარული.

მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ დროს ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა. ჩვენ არ გვქონდა სახელმწიფო თავისი აპარატით, არ გვყავდა ჯარი და გვარდია იმ სახით, რა სახითაც ის დღეს გვყავს. რუსეთს ფაქტიურათ ჩამოშორებული ვიყავით. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა უსიცოცხლო გამოდგა, ის სინამდვილეში არ არსებობდა, მთელი სიმძიმე ბრძოლისა ქართველ დემოკრატიას აწვა კისერზე. ჩვენ ვიდექით არა მარტო ოსმალების საფრთხის წინაშე, არამედ ჩვენს არსებობას ემუქრებოდენ შინაური მტრები და ფრონტიდან მიმავალი რუსის ჯარის-კაცებიც, რომლებიც ამბოხებებს გვიწყობდენ შიგნით და მით გარეშე მტერთან ბრძოლას გვირთულებდენ. ასეთს მდგომარეობაში ჩვენ ვერ შევსძელით ბათუმის და მისი ოლქის დაცვა. ბათუმის დაცემის შემდეგ ჩვენი ხალხის წინაშე უდიდესი საკითხი დადგა. ეს იყო ყოფნა არ ყოფნის საკითხი: ან ჩაბარებოდა მტერს, ან იარაღით ხელში დაეცვა საქართველოს დანარჩენი ნაწილი. საქართველოს დემოკრატიამ მეორე გზა აირჩია, მან სთქვა: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს თავისუფლების ძებნაში მკვდარი-“ო, და კვლავ მიუშვირა თავისი გულმკერდი თავისი მებრძოლების სახით მტრის ტყვიებს. პირველი ბრძოლა, რომელიც ჩვენმა ჯარმა მიიღო ბათუმის დაცემას შემდეგ, იყო ბრძოლა ჩოლოქის და ოჩხამურის, სადაც ჩვენ უდიდესი გამარჯვება ვიგემეთ 8 აპრილს, მაგრამ, თუ ერთ ფრთაზე ჩვენი ფრონტისა ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა, საუბედუროთ მეორე ფრთაზე მტერმა გადმოლახა მდინარე ჩოლოქი და დაეპატრონა გურიის დედა ქალაქ ოზურგეთს. ეს ის მომენტი იყო, როდესაც საქართველო შავი ღრუბლებით იყო მოცული, არსაიდან არავითარი იმედი არ იყო, საშინელ სურათს წარმოადგენდა თვით ჩვენი გურია. ის გადაქცეული იყო სამხედრო ბანაკად, მისი საუკეთესო სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი თავისი დედა ქალაქ ოზურგეთით მტრის ხელში იყო. ხანგრძლივი შრომით შენაძენი ქონება და სარჩო-საბადებელი მცხოვრებლების მიერ მიტოვებული

იყო და მტრის ხელი ანაწყურებდა, ლტოლვილები გულშემზარავ სანახაობას წარმოადგენდენ ამ საერთო უბედურების და უიმედობის დროს. ჩვენს დემოკრატიას ყავდა ისეთი მებრძოლები, რომლებიც მომავალს იმედის თვალით შესცქეროდნენ და სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდნენ. ესენი იყვნენ ის მეომრები, რომლებიც არ იხრიდენ ქედს არავითარი საფრთხის წინაშე და მტერს პირის-პირ ედგენ. და სწორედ 10 აპრილს, როდესაც ჩვენმა ჯარმა შეუტია ოზურგეთს ნატანების გზატკეცილით, სოფ. ვაშნარში გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელიც ძვირად დაუჯდა ჩვენს და ჩვენს მოწინააღმდეგეებსაც. ერთი პატარა ჩვენი რაზმი სრულებით გაიჟლიტა, მათი წრიდან ამბის მომტანიც არ დარჩენილა, მათ გაუთხარათ სამარე სწორედ იმ ადგილას, სადაც მათ მოიხადეს უდიდესი მოვალეობა სამშობლოს და რევოლუციის წინაშე.

ამ რიგათ სოფ. ვაშნარი ისტორიული ადგილი არის ჩვენთვის. თუ პეტროგრადის რევოლუციონურმა პროლეტარიატმა ის გმირები, რომელთა სისხლითაც მოირწყო პეტერბურგის ქუჩები დიდ რევოლუციის პირველ დღეებში, მიაბარა მარსის ველს, იქ გაუთხარა მათ საფლავი და მარსის ველი გახდა მათ სავანედ, ჩვენთვის ასეთი მნიშვნელობა აქვს ვაშნარის ძმათა სასაფლაოს, რადგანაც ჩვენ დემოკრატიას იქ ეგულება თავისი საუკეთესო მებრძოლები სამშობლოს და თავისუფლების ერთგული დარაჯები და დამცველები. უდროვო დროს შეწყდა მათი მაჯის ცემა, მათ არ დასცალდათ ეხილათ განთავისუფლებული და გამარჯვებული სამშობლო მხარე, რომლის კეთილდღეობასაც თავი შესწირეს. მადლიერი ერი არ დაივიწყებს მათ ამაგს და ნიშნად ღრმა პატივისცემისა და ხსოვნისა სამარადისო ძეგლს აუგებს მათ.

ჩვენ გვწამს, რომ ის იდეა, რომელსაც ვაშნარის გმირებმა თავი შესწირეს, საბოლოოთ გაიმარჯვებს. ეს იდეა არის საქართველოს სხეულის გამრთელება, სამაჰმადიანო საქართველოს თავისი დედა ქალაქ ბათუმით შემოერთება. ბათუმმა ბევრი საუკეთესო მებრძოლები შეიწირა და ჩვენ იმედი გვაქვს რომ ის სისხლი, რომელიც დაიღვარა ბათუმში, ვაშნარში და ჩოლოქში, არ ჩაივლის უნაყოფოთ და ბათუმი სულ ადრე თავის დედა საქართველოს დაუბრუნდება.

## საუბარი მკითხველთან.

### ერობა და კოოპერაცია.

III.

პირველ წერილში ჩვენ აღვნიშნეთ მოკლეთ, თუ როგორია ჩვენი დღევანდელი სახელმწიფო წყობილება. შევეხეთ აგრეთვე ადგილობრივ თვითმმართველობასაც, როგორიცაა ერობა, და ის აზრი გამოვთქვით, რომ ერობა — ეს არის ადგილობრივი თვითმართველობა და იმავე დროს უმაღლესი ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულება; რომ ის, როგორც არჩეული უაღრესად დემოკრატიული საარჩევნო სისტემით, ატარებს ცხოვრებაში დემოკრატიული სახელმწიფოს კანონებს, ქმნის და ატარებს ადგილობრივათ დემოკრატიული მართველობის წესებს, გამოუქებულს და გაზომილს მთელი სახელმწიფოს დემოკრატიის, ამ ერის უმეტესობის ინტერესების საზომით და თვალსაზრისით. როგორც უმაღლესი ადგილობრივი სახელმწიფო ორგანო, ის განაგებს თითქმის ყველა ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებას, ისე, როგორც თვითმართველი ორგანო, მართავს და განაგებს ყველა ადგილობრივ სახალხო, საზოგადოებრივ დაწესებულებათ. მაშასადამე მისი მოვალეობაა იზრუნოს, როგორც ადმინისტრაციის, სკოლის, მიმოსვლის შესახებ და სხვა, აგრეთვე ხალხის ჯანმრთელობის, საერთო განათლების, მეურნეობის, მრეწველობის, აღებ-მიცემობის, ერთი სიტყვით ხალხის ცხოვრების ყოველმხრივ გაუმჯობესების შესახებ, რისთვისაც ის სასტიკათ პასუხისმგებელია თვით ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე.

როგორც უაღრესად დემოკრატიული დაწესებულება, თავისი ამა თუ იმ დარგის საქმიანობის წარმატების უმთავრეს ფაქტორად ის სთვლის ფართო მასსის, მთელი საზოგადოების ამოძრავებას, მისი ინიციატივისა და შემოქმედებითი ნიჭის ამუშავებას. ამავე დროს ის ფართო ასპარეზს უხსნის აგრეთვე ინიციატივიან ჯგუფებსა, თუ კერძო პიროვნებებსაც, ერთი სიტყვით, ის იკრებს და ვალდებულია შემოიკრიბოს თავის გარეშემო საზოგადოების ყველა დარგის სასიცოცხლო, შემოქმედებითი ძალები, შეაკავშიროს, დარაზმოს და მისცეს თვითეულ მათგანს შესაფერი გეზი, რომლითაც სვლასაც მისგან მოითხოვს ამა თუ იმ დროს მთელი ხალხის სწორათ გაგებული ინტერესები.

უაღრესად დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველგვარი სახელმწიფო საქმე ხალხისავე ხელით, ხალხისავე სახელით და ხალხისთვისვე კეთდება და ამიტომ ის არის უაღრესად სახალხო საქმე. ამავე დროს დემოკრატიულ სახელმწიფოში არავითარ სახალხო საქმეს არ ექნება შესაძლებელი წარმატება და არც ჩაითვლება იგი ნამდვილ სახალხო საქმედ, თუ ის სახელმწიფოებრივ ინტერესთა გარეშე სწარმოებს. ამიტომ ყოველგვარი სახალხო საქმე უნდა ღებულობდეს და ღებულობს კიდეც სახელმწიფოებრივ ხასიათს, ე. ი. ყოველგვარი სახალხო საქმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იქცეს და გვესმოდეს უნდა, როგორც უაღრესათ სახელმწიფო საქმე.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა — ეს ისეთი ფართო სახელმწიფოებრივი წყობილებაა, რომელშიაც მაქსიმალურის თავისუფლებით თავს იდება და საუკეთესოთ ღორძინდება საზოგადოებრივი საქმიანობის ყოველგვარი დარგები. ამიტომ ყველა ის ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულება, ან თუ საზოგადოებრივი საქმიანობა, რომელიც სახელმწიფოებრივ ნიადაგზე გადასვლას არ ცდილობს, ის არ ჩაითვლება დღეს ნამდვილ დემოკრატიულ, ნამდვილ სახალხო დაწესებულებად, თუ საქმიანობად. ის დღეს სინამდვილეში ან შეგნებული, ან და შეუგნებელი მოპირდაპირეა ხალხის, მთელი დემოკრატიის ინტერესების. პირველ შემთხვევაში მას უნდა პირბადე ავხადოთ და სინათლეზე გამოვიყვანოთ, მეორე შემთხვევაში კი მათ თვალები ავუხილოთ და ნამდვილი დემოკრატიზმისაკენ მოვუწოდოთ.

აქედან ცხადია, თუ როგორი დამოკიდებულებაა სასურველი კოოპერატიულ დაწესებულებათა ერთის მხრით და ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოსა და მის თვითმმართველ ორგანოებს შორის მეორეს მხრით. მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია გადაჭრით ვსთქვათ შემდეგი: თუ ჩვენი კოოპერატივების მიზანია არა კერძო, საზოგადოებრივი ჯგუფების, არამედ მთელი ხალხის, მთელი დემოკრატიის, კიდევ მეტი—მთელი ერისადმი გულწრფელი სამსახური და ამავე დროს თავისი საქმიანობის მაქსიმალური ზრდა-განვითარება, წარმატება და აღორძინება, ამისათვის ისინი უნდა შეუერთდნენ სახელმწიფოს და შეიქნან იმისი შემადგენელი, ორგანიული ნაწილი. ეს არის ერთადერთი და იმავე დროს საუკეთესო გზა, რომელიც მას უქადის ბრწყინვალე მომავალს. მ.—რი.

(შემდეგი იქნება.)

## გამგეობის დადგენილებიდან:

— მაზრის ინჟინერი ითვლება იმავე დროს ტეხნიკური განყოფილების გამგედ.

— აეკრძალოს ავტომობილებს მიმოსვლა ნატენებ-ოზურგეთის გზაზე ერობის გამგეობის უნებართვოთ.

— გაიგზავნოს ქ. ქუთაისში მეაბრეშუმეთა ყრილობაზე დასასწრებლათ დიმ. ცეცხლაძე.

— მიღებულ იქნას და წარედგინოს მორიგ სამაზრო საერობო ყრილობას შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა ერობის სამჭედლოსი, რომლის ბალანსი შეადგენს 202,500 მან. მოსაგებით 42,000მან.

— მიღებულ იქნას და წარედგინოს მორიგ საერობო ყრილობას შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წ. ერობის საექიმო განყოფილებისა შემდეგი ცვლილებით:

1, არსებული სამკურნალო და საექიმო პუნქტები რჩება.

2, იხსნება შემდეგი ახალი საექიმო პუნქტები: 1) სუფსის, 2, ჩოჩხათის, 3, სურების (შუა-სურებში) და 4) ბახვისა.

— უარი ეთქვას მასიკო კალანდაძეს სახლის ქირის მომატებაზე.

— შუამდგომლობა მაზრის მილიციის უფროსის სამმართველოს მოსამს. ჯამაგირის მიმატების შესახებ გადაიდოს მორიგ სამაზრო საერობო ყრილობამდე.

— ერობის ფურნიდან პური გაიყიდოს გირვანქა ათ (10) მანეთად.

— ცირკულიარულად ეცნობოს ყველა თემებს, რომ მათ არა აქვთ უფლება სამაზრო ერობის უნებართვოთ დაიუფლონ საკუთრებად ან საიჯარო წესით მათს ტერიტორიაზე არსებული სკოლების კუთვნილი მიწები სკოლების ეზოსთვის საჭირო რაოდენობაზე ზევითაც კი.

— მიღებულ იქნას და წარედგინოს დასამტკიცებლად მორიგ საერობო ყრილობას ერობის ტეხნიკური განყოფილების შტატები და ხარჯთაღრიცხვა.

— ბახვსა და ღუაბზუს თემებს შორის ს. ვაკე-ჯვრის მხრით საზღვრად დაიდოს შემდეგი ხაზი: მსაზღვრელ ხაზი იწყება ვაკე-ჯვრის სკოლასთან მდებარე გორაკიდან, გამოდის იქავე ბახვში მიმავალ გზაზე, მიუყვება ამ გზას იმ პატარა შუკა გზამდე, რომელიც აერთებს ბახვში მიმავალ გზას ცხემლის ხიდზე მიმავალ გზასთან, აქედან მიუყვება ამ შუკა-გზას და გადის ცხემლის ხიდზე მიმავალ გზაზე.

— მიეცეს სესხად სამიჯნაო განყოფილებას ხუთი ათასი (5.000) მანეთი.

— ქვრივ ლოლა ურუშაძისას სიღარიბის გამო აღმოეჩინოს დახმარება სამას ორმოცდა ათი (350) მანეთი.

— სტატისტიკური განყ. გამგე ვიქ. ღლონტი განთავისუფლებულ იქნას სამსახურიდან ა. წ. 15 აპრილიდან მისი ბორჯომის ქალაქის თავად არჩევის გამო.

— მეველის თანაშემწე განთავისუფლებულ იქნას სამსახურიდან ა. წ. 1 აპრილიდან, მის ად-

გილზე მიღებულ იქმნას ი. გორჯომიძე 5 აპრილიდან ა. წ.

— თემებში დაგროვილი ღალის სიმინდი თავმოყრილ იქნას ერობის საწყობებში.

— მიღებულ იქნას და წარედგინოს მორიგ სამაზრო საერობო კრილობას დასამტკიცებლათ შტატები და ხარჯთ-აღრიცხვანი შემდეგ განყოფილებათა: 1) ბუჰგალტერიისა, 2) სასურსათო განყოფილებისა, 3) სამხედრო განყოფილებისა, 4) საადგილ მამულო განყოფილებისა სააგრარიო კომისიებით და 5) წიგნის მაღაზიისა.

— მოწვეულ იქნას მორიგი საერობო კრილობა აპრილის 20-ს შუადღის 2 საათზე.

— დაინიშნოს ჩოხატაურის საწყობის გამგედ ერმილე ქლენტი 9 აპრილიდან ა. წ.

— მიეცეს ლეღვნის თემს ერობის საწყობიდან 40,000 მანეთის წამალი; ამ თანხიდან ნახევარი უნდა იქნას გადახდილი წამლების წაღების დროს, ხოლო მეორე ნახევარი—ერთი თვის ვადაში.

— მიღებულ იქნას და წარედგინოს მორიგ კრილობას შესწორებული შტატები და ხარჯთ-აღრიცხვა საექიმო განყ. შემდეგის დამატებით: არსებულ საფერშლო პუნქტებს ემატება კიდევ ოთხი ფერშალი.

— ვეტერინარი, ლეონტი ლავრენტის-ძე ფერაძე დაინიშნოს 1 აპრილიდან ა. წ. ჩოხატაურის რაიონის ვეტერინარ ექიმად.

— მიღებულ იქნას და წარედგინოს საერობო კრილობას სავეტერინარო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა.

— მიღებულ იქნას აგრეთვე სასურსათო განყოფილების შტატები.

— მიეცეს გურიის ტყის საქმეთა გამგეს ას სამი ათას შვიდასი (103,700) მანეთი 14 აპრილამდე ა. წ.

— მიეცეს ახლათ შექმნილ ჭანჭათის თემს დახმარებად მოსაწყობი ხარჯებისათვის სამი ათასი (3,000) მანეთი.

### თემთა დადგენილებიდან.

#### აკეთის თემი.

— საბჭოს პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ—იესე მგელაძე, მის ამხანაგად—ილიკო გოგუაძე, მდივნად—ვლ. დათუნაიშვილი.

— თემის გამგეობაში არჩეულ იქნენ: გამგეობის თავმჯდომარედ—სოლომონ [illegible] ამხანაგად—ხარიტონ მჭედლიძე და მდივნად—იესე ჯაყელი.

#### ზემო-თავ-სურების თემი:

— 1. მიღებულ იქნას ცნობად სამაზრო ერობის გამგეობის დადგენილება ზემო თავსურების თემის საბჭოს არჩევნების დამტკიცების შესახებ.

— 2. დაევალოს გამგეობას დაიქირაოს თემისათვის ბინად ზემო-სურების დუქნებზე ონოფრე მიხეილის-ძე ბარამიძის შენობა. თუ მოურიგდებიან ფასში კიდევ ერთი დიდი ეს შენობა.

— 3. მილიციის უფროსად არჩეულ იქნას ტრიფონ სამსონის ძე კაკაბაძე.

— 4. გამგეობის თავმჯდომარეს და მდივანს მიეცეს თვიურათ თვითეულს ჯამაგირი ორ-ორი ათასი (2.000) მანეთი და მიეცეს კიდევ მგზავრობის დროს მხოლოდ ცხენის ქირა.

— 5. ამა 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ საბჭომ მიიღო ერთხმათ შემდეგი: 1, ჯამაგირები —37 400; მან. 2, გათბობა-განათება 2.000 მან. 3, ბინისთვის შენობის შეძენა და გაკეთება—60,000 მ. 4, მოულოდნელი ხარჯები—5,000 სულ—104100 მ.

— 6. ზემო-სურების ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსის თხოვნის გამო საბჭო ადასტურებს, რომ განყოფილების უფროსი ნიკო ყურაშვილი ყოველთვის იმყოფება განყოფილებაში.

— მოვისმინეთ რა მთავრობის სავალდებულო დადგენილება და ოზურგეთის სამაზრო ერობის მოწერილობა თავისუფალი მიწების იძულებითი დათესვის შესახებ, საბჭო ღებულობს მთავრობის დადგენილებას და შეძლების და გვარათ შეეცდება თანახმათ ინსტრუქციისა, ეს დადგენილება ცხოვრებაში გაატაროს.

— ზემო-სურების სკოლის საბჭოს არჩევნების შესახებ საბჭომ დაადგინა ეს საქმე გადაეცეს თვით სკოლის დამაარსებელს, რათა მოახდინოს ახალი არჩევნები სკოლის საბჭოს წევრებისა.

— ყარამან სანიკიძის და მისი შვილის ურთიერთ შორის უკმაყოფილების შესახებ დაევალა გამგეობას იზმაროს ყოველივე ღონის-ძიება მშობლებსა და შვილს შორის საქმის მოწესრიგობის და ყოველივე უწესოების მოსპობის შესახებ. ურიგო შემთხვევაში წინააღმდეგ პირის შესახებ იქნეს საჭირო ზომები მიღებული.

თავ-სურების და ბარამიძეების სკოლის შესახებ

მოხდეს დეპეშით შეკითხვა სამაზრო ერობისამართ თუ რას ავალებს სამაზრო ერობა თავ-სურების თემის საბჭოს.

— განსვენებულ ისაკი სანიკიძის ობლებს ოპეკუნად არჩეულ იქნას სანიკიძე.

— განსვენებულ კარპეზ კაკვაძის ობლების ოპეკუნად კრებამ აირჩია დავით ნიკ. კაკვაძე.

## საექიმო განყოფილებიდან.

### ჰიგიენა.

ჰიგიენა არის სამკურნალო მეცნიერების ნაწილი, რომელიც ასწავლის ადამიანს, თუ როგორ პირობებში უნდა იცხოვროს კაცმა, რომ თავისი არსებობა დღეგრძელყოს და თავი დაალწიოს იმ აუარებელ სენს, რომელიც ასე ხალისით ეტანება ადამიანის ორგანიზმს. ჰიგიენა გვასწავლის ნორმალურ და საღ ცხოვრებას, ავითარებს ადამიანში შრომის უნარს და აძლევს მას საღ სხეულს, ხოლო საღ სხეულში კი ძველი რომაელობის არ იყოს, სულიც საღი არის ხოლმე ჩვეულებრივ.

ჩვენმა ხალხმა კარგათ იცის ჯანმრთელობის ფასი. ის სადღეგრძელოში ასე უსურვებს თავის მოყვასს: „ღმერთმა ტანის სიმრთელე მოგცეს და სხვა ყოვლისფერი იქნებაო". მართლაც და ჯანმრთელობა — ეს ფასდაუდებელი სიმდიდრეა. ჯანმრთელი ადამიანი ქვიტკირია „ჰირსა შიგან", ის ქედ-მოუხრელათ უმკლავდება ყოველივე დაბრკოლებას და მტკიცე ნაბიჯით, ღიმილით მიეშურება უკეთეს მომავლისაკენ მაშინ, როცა უძლური, სუსტი ადამიანი გულში იკლავს ბევრ კეთილშობილურ განზრახვას და უდროოდ ესალმება ამ ქვეყნიურ სიამეს.

ჯანმრთელობას არა აქვს მარტო პირადული მნიშვნელობა, მას გავლენა აქვს მთელი საზოგადოების, ერის ცხოვრებაზე. სუსტი ადამიანი იძლევა გამოუსადეგარ შთამომავლობას, რომელიც დაბოლოს საზოგადოებას არა სასიამოვნო ტვირთად აწვება ზურგზე. ულონო ადამიანი ჩვეულებრივ პარაზიტია საზოგადოების და მოითხოვს უკანასკნელისაგან შველა-დახმარებას, ზედმეტ ხარჯს. ეს კარგათ ესმოდა ძველ საბერძნეთს და ამიტომ იქ დიდ ყურადღებას აქცევდნენ ადამიანის ჯანმრთელობას: სახალხო მოედნებზე, თუ განსაკუთრებულ შენობებში ტან-ვარჯიშობას ასწავლიდნენ ახალგაზრდებს. საქართველოშიაც ვხედავთ ასეთი მიზნის ჩანასახს, საზოგადოება „შევარდენი" ჭეშმარიტათ ერის გაჯანსაღების საქმეს ემსახურება და დიდათ სასურველია, რომ საზოგადოების ასეთმა მისწრაფებმა საქართველოს ყველა კუთხეში [illegible] მოძახილი — თანაგრძნობა, მიბაძვა: მას შემდეგ, რაც ქართველი ერი საკუთარ ფეხებზე დადგა, რა თქმა უნდა, სახალხო ჯანმრთელობა სახელმწიფოს საზრუნავ საქმედ უნდა გადაიქცეს, მით უფრო, რომ ახალი ხანა ბევრ დაბრკოლებას გვიმზადებს და ყველა მათ დასაძლევად თვითეული ჩვენგანი უსათუოთ სულით და ხორცით უნდა გავკაჟდეთ — გავსალკლდევდეთ.

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობაც თავის ნივთიერ სახსრის უდიდეს ნაწილს ამ საქმეს ანდომებს. რამდენათ შესაძლებელი და მოსახერხებელიც იყო დღევანდელ პირობებში, ერობამ მოიწვია მაზრაში საექიმო პერსონალი ისე, რომ 1920 წლის შტატებით თვითეულ საექიმო პერსონალზე მოდის ორი ათასამდე სული, ე. ი., თუ საშუალოთ ერთ ოჯახში ვიანგარიშებთ 5 სულს, მაშინ ერთი საექიმო პერსონალი ემსახურება 400 კომლს. ამ ყურადღებისათვის მადლობის ღირსია ერობის გამგეობა, მაგრამ დიდი გულქვაობა იქნებოდა ჩვენის მხრით ჩვენივე ბედის მიმართ, რომ საკუთარი ჯანმრთელობის საკითხი მარტო საზოგადო ორგანიზაციისათვის მიგვენდო და პირადათ ჩვენ არავითარი ზომები არ მიგვეღო. ჩვენს მაზრაში ფეხმოკიდებულია მალარია და ტუბერკულიოზი, განსაკუთრებით — მალარია, რომელსაც მოჰყავს შესამჩნევი წლის განმავლობაში 22% მთელი მაზრის მცხოვრებთაგან. მალარია იმით არის საშიში, რომ ის ნიადაგს უმზადებს მეორე სენს — ტუბერკულიოზს (ჭლექს). ამიტომ, როგორც საზოგადო დაწესებულება, ისე ყოველივე ჩვენგანი უნდა ეცდილობდეთ შევისწავლოთ ის პირობები, რომელიც დაგვიფარავს ავათმყოფობისაგან და ამავე დროს დასუსტებულ ორგანიზმსაც ასე თუ ისე გამოამრთელებს. აი, აქ მოგვეხმარება ჩვენ ჰიგიენა, როგორც მეცნიერება და შეგვასწავლის ყველა იმ გზებს, რომელიც დაგვაახლოვებს ბუნების კანონებთან და გვაცხოვრებს მასთან შეთანხმებით. ბუნება შურის მაძიებელია: ის მცირეოდენ დანაშაულსაც არ გვაპატიებს და როცა იქნება დაგვსჯის. ჯერ-ჯერობით დავიმახსოვროთ, რომ ასეთი სასჯელის თავიდან აცილებისათვის საჭიროა სიწმიდე და ზომიერება ყველაფერში, შემდეგ კი შეძლებისდა გვარათ გავარკვიოთ ყველა ის პირობები, რომლებზედაც დამოკიდებულია ადამიანის ჯანმრთელობა და მისი სხეულის საღი განვითარება.

(შემდეგი იქნება).

ი. ბ.

# ქრონიკა.

ამ დღეებში სამაზრო ერობის გამგეობამ მიიღო მომართვა თბილისში არსებულ [illegible] სამგზის მცხოვრებთა ურთი-ერთ შორის დამხმარე ჯგუფისაგან, რომელიც ფულით დახმარებას ჰპირდება ერობას, თუ ის შეუდგება ხიდისთავ-სამგზა-ხეთის გზის გაყვანას ამ მოკლე დროში. ხსენებულმა ჯგუფმა ამ მიზნით ეხლავე რამდენიმე ათასი მანეთი გამოუგზავნა ერობას. ამავე მიზნისათვის მოქ. გრიგოლ დოლიძემ ერობის გამგეობას აღუთქვა 100,000 მან., როცა ერობა ამ გზაზე მუშაობას შეუდგება. ამ გზას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს თითქმის მთელი ჩოხატაურისა და აგრეთვე ლანჩხუთის რაიონის თემების დიდი ნაწილისათვის. ერობას წინასწარი გამოკვლევა გზისა უკვე დასრულებული აქვს და ამ დღეებში შეუდგება მუშაობას ტექნიკური პერსონალი, მაგრამ ერობას ძლიერ უშლის ხელს ამ საქმეში უსახსრობა. ამიტომ, იმედია სხვებიც, როგორც ადგილობრივი, ისე მაზრის გარეშე მყოფნი, ამ საქმით დაინტერესებულნი და სამშობლო კუთხის კეთილმოყვარე პირებიც მიჰბაძავენ ა-ნ დოლიძისა და ხსენებული ჯგუფის მაგალითს და დახმარებას აღმოუჩენენ ერობას ამ საქმეში და მით შეაძლებინებენ მას დაჩქარებით განახორციელოს ეს საშვილიშვილო საქმე.

# თემთა ცხოვრებიდან.

### დიდი ვანის თემი

მკითხველს ალბათ მოეხსენება, რომ არსებობდა ე. წ. „სურების“ თემი. ეს თემი, გაჭიმულებული 25 ვერსის მანძილზე დასავლეთიდან აღმოსავლეთით და ძლიერ ვიწრო ჩრდილოეთიდან სამხრეთით, აქამდე მთლიანი იყო. მაგრამ დაისვა თუ არა კითხვა სხვა და სხვა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა თუ სხვების აგებისა, როგორიცაა: საფერშლო პუნქტი, აფთიაქი, სამეურნეო თუ სხვა ტიპის სასწავლებელი და სხვა, უკვე გაისმა ხალხშიაც და დაიბადა თვით თემის ხმოსნებშიაც უთანხმოება, გაიმართა დიდი კამათი იმაზე, თუ სად და როგორ აგებულიყო ესა თუ ის დაწესებულება. დიდი დრო და ენერგია მოანდომა საბჭომ ხსენებულ საკითხებს, რათა მათი მოწესრიგებით არ დარღვეულიყო მთლიანობა, მაგრამ ამაოთ. ცხოვრებისა და ხალხის მოთხოვნილებებმა თავისი გაიტანა და ხსენებული თემი დანაწილდა, მის ადგილას აღმოცენდა სამი თემი: დიდი-ვანი, შუა-სურების და ზემო-თავ-სურების და კითხვა [illegible] შესახებ, თუ რას ვიგებთ ჩვენ, ანუ [illegible] ლებში მოქცეულები?

აქ უნდა აღვნიშნო, რომ ხალხის მტრები ავრცელებენ ხალხში ხმებს: საშინელება მოხდა, რომ გავიყავით, დავაქციეთ საზოგადოება, ვერ-ვერას ვერ გავაკეთებთ ვერც ერთიო“ და სხვა. ამათში ზოგიერთი შეგნებული მტერია საზოგადოებისა, ზოგი კი შეუგნებელი. როცა ცარიელი სიტყვებით თემის მთლიანობაზე გაჰკივიან, მათ ავიწყდებათ, რომ ცხოვრების წინააღმდეგ წასვლა ცხენებულ დონ კიხოტის ქარის წისქვილთან ბრძოლას მიაგავს! მთლიანი თემის არსებობა, რასაკვირველია, სასურველი და კარგია, მაგრამ სურვილი ერთია და სინამდვილე კი ხშირათ მეორე. ჩემი აზრით, გაყოფით ჩვენ არ უნდა შევშინდეთ, პირიქით, გაათკეცებული ენერგიით უნდა შევუდგეთ ყოველ გვარ საქმეს თემისას, გამოვიყენოთ ამ საქმეში ყოველი ცოცხალი ძალა. თუ ჩვენ, ე. წ. მოწინავეები, (ამ შემთხვევაში ხმოსნები თემისა) დავკარგავთ იმედს წარმატებისას, სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩავცვივდებით, ხალხისგან გულის წყრომას დავიმსახურებთ და, შეიძლება, თემი უჩვენოდაც არ ასცდეს თავის განვითარების გზას. (ასეთია კერძოთ ჩემი რწმენა.) ჩემის აზრით, ენერგიული მუშაობა საბჭოსი და მისი გამგეობისა, გამოყენება ყოველგვარი ძალისა, რის გამოყენებაც კი შეიძლება, ამუშავება და საქმიანობის ფერხულში ჩაბმა ხალხისა მიგვიყვანს სრულს გამარჯვებამდე და თავის თვალ სინათლეზე გამოიყვანს იმ ვითომდა „ხალხის მოკეთეებს“, რომელნიც გაიძახოდნენ, თუ გაიძახიან, რომ გამოყოფით სრულიად დავიღუპებითო, და გულს უცრუებენ ხალხს შემოქმედებით მუშაობაზე. დიდი-ვანის თემის ხმოსანთა საბჭო ამ იმედებით უდგება მუშაობას და დარწმუნებულია, რომ თემის საქმეებს ჯეროვანათ მოაწყობს და კარგს ნიადაგზე დააყენებს. უკვე არჩეულია გამგეობა, რომელიც შეუდგა მუშაობას [illegible] ნაყოფიერებას. თემის დანარჩენ საკითხებზე და მოქმედებაზეკი შემდეგ.

მასწ. ან. რამიშვილი.

# სამოყვროთ თუ არა სამტროთ.

ვინც ყურადღებით და გულმტკივნეულობით აკვირდება ჩვენს ცხოვრებას, სხვათა შორის, ერთს სამწუხაროსა და დამაფიქრებელ მოვლენას შენიშნავდა: სახალხო სკოლის მასწავლებელს ხალხი იმ სიყვარულითა, პატივისცემითა და ნდობით აღარ

ეპყრობა, როგორადაც წინათ ეპყრობოდა. მოსალოდნელი იყო კი, რომ სწორედ ახლა შედარებით შეგნებული და გათვითცნობიერებული ხალხი მასწავლებლის პატივისცემას არა თუ მოაკლებდა, არამედ გაუორკეცებდა.

სად არის სათავე, დასაბამი ამ სრულიად მოულოდნელი გაუგებრობისა?

შევეცდები გაგიზიაროთ შედეგი ჩემის დაკვირვებისა, იმ პირობით კი, თუ ნებას დამრთავთ წინასწარვე ბოდიში მოვიხადო მათ წინაშე, რომელთათვისაც, შეიძლება, უნებლიეთ საწყენი რამ წამცდეს.

სახალხო სკოლის წინანდელი მასწავლებელი თავისთავს მოღვაწედ სთვლიდა, რომელსაც ნატვრითი ჯვარი ღირსეული მოთმინებით უნდა მოეტანა გოლგოთაზე. ხალხსაც, შეგნებით თუ შეუგნებლათ, ასეთი მასწავლებელი თავდადებულად მიაჩნდა და ძალაუნებურათ პატივს სცემდა, უყვარდა და ენდობოდა მას.

დღევანდელ მასწავლებელთა უმეტესობას თავისთავი მარტოოდენ პროფესიონალურ მუშად წარმოუდგენია, სკოლა ქარხნად დაუსახავს და ვიღაც ექსპლოატატორიც ელანდება. ხოლო, როგორც მოგეხსენებათ, ექსპლოატატორის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, და დღევანდელი მასწავლებელიც ამ მოლანდებულ ექსპლოატატორს იდუმალ თუ აშკარათ ებრძვის, და ამ ბრძოლაში იჩრდილება და იჩაგრება იდეური მხარე მისი საქმიანობისა (ასე რომ არ იყოს, მოღვაწეობისა მეთქი, ვიტყოდი)

აქედან ცხადია, რომ ახლანდელმა მასწავლებელმა მოღვაწეობის კვარცხლბეკიდან თვითონვე ჩამოიქვეითა, და ამის გამო, რა თქმა უნდა ხალხის თვალში მისი ნამდვილი ფასი და მნიშვნელობაც შემცირდა.

გავიხსენოთ დასასურათებლათ მასწავლებელთა ამასწინდელი გაფიცვა და აქედან სამართლიანათ გამომდინარე დრტვინვა და საყვედური ხალხისა: ვის გაეფიცნენ?

მართლაც და ვის გაეფიცნენ მაშინ მასწავლებელნი? ვინ იყო იმათი ექსპლოატატორი? დემოკრატიული მთავრობა, რომლის სადმე ერთგულებაში მასწავლებელთა შესახებ ეჭვის შეტანა შეუძლებელი უნდა იყოს, თუ დემოკრატიული ხალხი, რომლის მახლობელ წინამძღვრად და მეგობრად მასწავლებელნი უნდა ითვლებოდნენ?.

თითონ მასწავლებელთ რომ დაეკითხოთ ამის შესახებ, ასე გვეტყოდნენ: გაგვიჭირდა და გავიფიცეთო. ასეთი პასუხი კი გვაგულისხმებდა ეკონომიურ ნიადაგზე გაფიცვას, თუმცა, რომ გაგრძელებულიყო, თავის შედეგით იმავე დროს ის იქნებოდა პოლიტიკური გაფიცვაც, რადგანაც სწორედ ასე ახსნიდენ მას ჩვენი უცხო და შინაური მტერ-მოყვრები. ხალხი და მთავრობა ყოფილა მასწავლებელთა ექსპლოატატორიცა და მჩაგვრელიცაო—დაასკვნიდნენ ისინი. ვერც ხალხი, ვერც მისი მთავრობა ვერ მდგარა თავის ჯეროვან სიმაღლეზე, როცა თავის სხეულის სასიცოცხლო ნაწილს, სახალხო სკოლის მასწავლებელს ასე უდიერათ ეპყრობა.

და ნუ თუ არ ფიქრობდნენ მასწავლებელნი, როცა იფიცებოდნენ, რომ ამით ისინი ჩვენის ხალხისა და მთავრობის დემოკრატიულ დროშას უნებლიეთ ზიანს აყენებდნენ?.

მართალია, ერთობ ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაში მოვექეცით, მაგრამ სწორედ დიდ ნივთიერ გაჭირვების დროს დაგვიდგა ის სანატრელი და სანეტარო ხანა, რამაც სულიერათ უნდა გაგვამხნეოს, აღგვამაღლოს, აღგვაფრთოვანოს და ნივთიერი გაჭირვების სიმწვავე გაგვინელოს.

„მარგალიტი არ ვის მიხვდეს უსასყიდლოდ შვაპრილად“.. ხოლო ამ მარგალიტის ღირსება, ფასი და მნიშვნელობა ვინ უნდა იცოდეს, ვინ უნდა იგრძნოს, ვინ უნდა წარმოიდგინოს სრულის შეგნებით, თუ არ მასწავლებელმა, რომელიც, სახარების სიტყვით რომ ვსთქვათ, მარილი უნდა იყოს ქვეყნისა.

მარილი უნდა დაადნეს ქვეყანას, რომ ეს უკანასკნელი არ გახრწნას, და, ვისაც საზოგადო მოღვაწეობა ასე არ ესმის, მით უმეტეს ამ დროს, როცა ჩვენის ერისა და ქვეყნის აღორძინებისათვის ერთობ ბევრი მარილია საჭირო, ის ამ საპატიო სახელს არც კი უნდა ატარებდეს.

მოკვთე.

## ოზურგეთის მაზრის მასწავლებელთა საყურადღებოთ.

სრულიად საქართველოს სამწავლებელთა აღმასრულებელმა ბიურომ გამოითხოვა და მიიღო ნება, რომ სასწავლებლების ხვედრი სურსათ-სანოვაგე სახელმწიფო ფონდიდან გადაეცეს გასანაწილებლათ მასწავლებელთა კავშირს. ჯერ-ჯერობით იძლევიან შემდეგ ნორმას. 1. ფართლეულობას თითო მასწავლებელზე 300 მან 2. შაქარს. ბრინჯს და ფქვილს 200 მან. მაშასადამე ყოველ კავშირს შეუძლია წაიღოს იმდენი 500 მ.ნ. საქონელი, რამდენიც მასწავლებელია (ყველა ტიპისა) მის რაიონში.

ოზურგეთის მაზ. მასწ. ვლ. კავშირის გამგეობამ მიიღო ზომები ზემო დასახელებული ნორმის მისაღებათ და დაავალა პარმენ თოთიბაძეს და სოსო მელიქიშვილს გაემგზავროს თბილის საქონლის გამოსაგზავნათ.

თავმჯდომარე თოთიბაძე.

# კითხვა—პასუხი.

კითხვა.— თუ მთავარ კოლმატოდან თავისი ადგილით ვისმე სურთ წყლის გაყვანა რაიმე დანიშნულებისათვის, შეუძლია თუ არა მეორე მხარეს, რომელსაც წყლის მესაკუთრედ მოაქვს თავი, არ დაანებოს წყლის გაყვანა?

პასუხი.— სამაზრო ერობის ტეხნიკურ განყოფილებას დავალებული აქვს წყლის საქმეების ხელმძღვანელობა. წყლის გაყვანა, რა ხასიათისაც არ უნდა იქნეს იგი, უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ერობის ნებართვით, რისთვისაც სათანადო განცხადება უნდა იქნეს შეტანილი ერობის ტეხნიკურ განყოფილებაში.

მდინარე საზოგადოთ არ არსებობს კერძო საკუთრება და კერძო პირს არც შეუძლია აკრძალოს, თუნებაზე დართოს მისით სარგებლობა ან მისი კოლმატოდან წყლის გაყვანა.

რაც შეეხება პატარა შტოებს, მისით სარგებლობა თავისუფლად შეუძლია იმ მიწის მესაკუთრეს, რომელზედაც ის გადის, მაგრამ ის ვალდებულია წყალი თავისი ადგილიდან იმავე მიმართულებით გაუშვას, რომლითაც წინეთ მიდიოდა.

# განცხადება

მიმდინარე წლის აპრილის 30-სა შუადღის 12 საათზე ოზურგეთის სამაზრო ერობის საადგილ-მამულო განყოფილებაში გაიცემა მიმდინარე სეზონისათვის საზაფხულო სამოვარი მთები: სურების, ჭრკეთის, ასკანის, ჭაკიჯვარის, გომის და გოგიეთის აგარაკები (დაჩა), მთის აღების უფლება აქვთ თემის გამგეობებს და კერძო პირებსაც, რომლებიც ეწევიან მეჯოგეობას. ამიტომ მთის ასაღებათ უნდა გამოცხადდენ თემის გამგეობის წევრი, ან რწმუნებული და კერძო პირი მეჯოგე და უნდა წარმოადგინონ თემის მოწმობა მათი საქონლის რაოდენობის შესახებ. მთის ამღებმა წინ და წინ უნდა წარმოადგინოს საიჯარო გადასახადის ერთი ნახევარი. იმავე-კი, ვინაც გასულ წლების საიჯარო გადასახადები არ გადაუხდიათ, წინ და წინ უნდა გადაიხადონ მათზე დარჩენილი გადასახადი.

ამავე აღნიშნულ დღეს მაზრის ყველა სამოვარი მთები განაწილდება. ამისთვის ყველა მსურველები უნდა გამოცხადდენ, წინააღმდეგ შემთხვევაში უმთოდ დარჩენილთა დაკმაყოფილება შემდეგში არ შეიძლება.

ოზ. მაზრის სახელმწიფო ფონდის
მიწების გამგე ივ. ღლონტი.

# განცხადება.

ბახმარის მომხმარებელი საზოგადოების ,,ჯანმრთელობის'' გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა 1920 წლის 28 აპრილს, შუადღის 2 საათზე, (ახალი სტილით). დანიშნულია ოზურგეთის სამაზრო ერობის შენობაში საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით აღნიშნული საზოგადოების დაწესებულებები მიმდინარე წლის სეზონისათვის. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა წინდაწინ უნდა წარმოუდგინონ გამგეობას ცირაო (ზალოგი). პირობების გაგება შეიძლება ოზურგეთში ერობის საადგილ-მამულო განყოფილებაში გამგე ივანე ბაგლარის-ძე ღლონტთან.—

გამგეობა.

რედაქტორი—კოლეგია.
გამომცემელი—ოზურგ. სამაზრო ერობის გამგეობა.
სტამბა ალექ. კალატოზიშვილისა ქ. ოზურგეთში.